— 2005 წლის სექტემბერში მაროკოს ქალაქ მარაკეშში ჩატარება ფიფას კონგრესი. გაიმართება აფრიკა-ევროპის კვეთების ფეხბურთის ფუნქციონერთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, რომელშიც ევროპელთა მწვრთნელის მიშელ პლატინის მიწვევით მონაწილეობას მიიღებს სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჯორდანია;

— თითქმის განისაზღვრა და დადგინდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩების ვინაობა 2006-2007 წლების საფეხბურთო სეზონში.

თავიანთი კვეთების ნაკრები გუნდების ქართველებთან ამხანაგურად გაჯიბრების სურვილი გამოთქვეს ისრაელის, სამხრეთ აფრიკისა და ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციების მესვეურებმა.

მიხეილ საბახტარიშვილი
ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა

„ბენდელას თასი" – ღირსეულთ!

გუშინ, სპორტის სასახელოსა „ბენდელას თასის" XIII ტრადიციული ტურნირი. ყველა თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. მხოლოდ 26 დეკემბრის მატჩი იყო მთელი ტურნირის განმავლობაში ყველაზე სამარცხვინო. „ზოოვეტისა" და შშს გუნდების შეხვედრისას, ამ ორ გუნდს შორის გამართულმა ჩხუბმა მატჩი ჩაშალა. აფრზაური კი ორივეს ძვირად დაუჯდა, ისინი ტურნირიდან მოიხსნენ. შესაბამისად ფინალში „სეუ"-ს და „იმედის" გუნდებმა გაარკვიეს ურთიერთობა.

დიდების ფინალამდე მატჩები ბავშვებმა გამართეს. გუნდებმა შემდეგნაირად გაიწაწილეს ადგილები. IV — „ლოკომოტივი-94", III — „ხობი", II — „ნ. დინამო", ხოლო პირველ ადგილზე „ოლიმპი" გავიდა. ფინალური მატჩის შემდეგ შედგა გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება, დასახელდა საუკეთესო მოთამაშეები.

მეკარე — დათო ლეგაშვილი (ნ. დინამო), **მცველი** — პაატა ბუკია (ხობი), **ნახევარმცველი** — გიორგი ხარაზიური („ოლიმპი") **მებრძოლი ფეხბურთელი** — გიორგი გოროზია (ლოკომოტივი-94).

რაც შეეხება საუკეთესო თავდამსხმელს, ბომბარდირს და საუკეთესო ფეხბურთელს, სამივე პრიზი „ოლიმპის" მოთამაშემ გიორგი ჩანტურიამ დაიმსახურა. სამართლიან გუნდად „ლოკომოტივი-94" ჩაითვალა. ერთ-ერთმა სპონსორმა, ცირძოდ, ფირმა „ველმა", დააწესა სპეციალური პრიზი — „პატარა პელე", **რომელიც „ხობის"** ფეხბურთელს დიმა თოდუას გადაეცა.

დიდების ფინალი 16 საათზე დაიწყო. შეხვედრა ერთობ დაძაბული გამოდგა. მატჩი სუფ-ს გამარჯვებით დასრულდა — 2-1. აქ საუკეთესო მეკარედ ჭაბა ჯაბიანი (სფფ) დასახელეს, საუკეთესო მცველსა და მებრძოლის ფეხბურთელის პრიზები დათო სოლოდაშილს („იმედი") გადაეცა, საუკეთესო ნახევარმცველად ლიარჭ დათო ოდიკაძე (სეუ) თავდასხმელად კი ბომბარდირად — შოთა ჯიქია (9 გოლი). რჩეულ ფეხბურთელად ლეგიონერი გოჩა ჭამპარული (სეუ) სცნეს. „საბართლაანი თამაშის სთვის" პრიზი გადაეცა გიორგი მიქაძეს (ზოოვეტის ხოლო ტურნირის ულამაზეს გოლის გამტანად კი მიხეილ ბობოხიძე დასახელდა („იბერია-2003").

ლელა ბანკოტაძე

„ჯარიშმაილ." სპორტულმა კომლეგმა ათი დღის განმავლობაში უმასპინძლა სპორტული მედიანის გამორჩეული წარმომადგენლის, თბილისის „დინამოს" ეკიპის, **ზაქარია თელიას** სახელობის თასის გათამაშებას მინიფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდა თორმეტი გუნდი. ჯანდაცვის სამინისტროს, თბილისის „დინამოს" და დედაქალაქში მოქმედი საავდმყოფოებისა და სანიტარული სამსახურების წარმომადგენლობები.

მესამე ადგილი დაიკავა პირველი კლინიკური საავდმყოფოს გუნდმა, რომელმაც ჯანდაცვის სამინისტროს 8-3 მოუგო. ფინალში კი ერთმანეთს თბილისის „დინამო" და რესპუბლიკური სანიტარული სამსახურის გუნდები დაუპირისპირდნენ. დაბადების, უმეტესათა მატჩი სანიტრებმა 2-0 მოიგეს და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. ტურნირის ორგანიზატორმა საქართველოს სპორტ-სმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირმა (თავმჯდომარე იროდი ბეგაშვილი) გამორჩეულ ფეხბურთელებს პრიზები გადასცა. ტურნირის ბომბარდირი 19 გოლით გახდა ბუბა ტყვარაძე. საუკეთესო კაპიტნის პრიზი მიიღო „დინამოს" მბრძოლელმა დირექტორმა **დავით პეტრიაშვილმა.**

მომავალში ტურნირი ტრადიციულად გახდება და ზაქარია თელიას თასი ყოველწლიურად გათამაშდება.

სანიტრებიც ამათ ჰქვიათ!

გამარჯვებული გუნდი

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

ბავშვთა ფეხბურთი

«ოლიმპის» ახალი წარმატება

მინიფეხბურთში ნოდარ ახალკაცის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშების 1997-1998 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, „ირაოს" საფეხბურთო მოედანზე უმასპინძლია. ნახევარფინალში მასპინძელი, „ირაოს" გუნდი დამარცხდა „ოლიმპთან" 1-2. მეორე ნახევარფინალში ასაპ მოუგო ომც-ს 3-0 და „ოლიმპთან" ერთად ფინალში გავიდა. ძირითადი დრო ფრედ 1-1 დასრულდა — „ოლიმპმა" მატჩის მიწურულს შეძლო ანგარიშის გათანაბრება. პენალტების სერიაშიც მასვე ხვდა წარმატება 4-3.

საუკეთესო ფეხბურთელებად დასახელდნენ: მეკარე — შერმან სეფაშვილი, ფინალის რჩეულად — ლეჩო დიმელაშვილი, ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ — ცოტნე ქებურია (სამივე— „ოლიმპი"), პერსპექტიულ ფეხბურთელად — გუგა ფარულავა, მცველად — ლაშა ზურაბიშვილი („იმედის" ფეხბურთელად — ნუგზარ ფიფია (სამივე — ასა).

სურათებზე: გამარჯვებული გუნდი „ოლიმპი". I რიგში (მარცხნიდან): თორნიკე ბარნაბიშვილი, ბეჯო ლომიძე, ლუკა გერსამია, ლუკა კილანია, ანრი ფაშურაშვილი; **დგანან:** ლევანი დიდმელაშვილი, ბექა ლომიძე, გოგა ფერაძე, პაატა ბარბაქაძე (კაპიტანი), შუქრან სეფაშვილი, ცოტნე ქებურია, გიორგი ჭელიაძე მწვრთნელ გიორგი ჯმუხაძესთან ერთად.

„ქართული ფეხბურთის"
რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელს, სპორტულ ოლიმპიური და 19-ჯერადც ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს, სსრ კავშირის ჩემპიონს და თასის ორგზის მფლობელს, კუნძის მრავალის პრიზიორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გახტანგ კოპალეიშვილს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

რუუდ გულიტს ხელოვნური საფარი არ უყვარს

რუუდ გულიტმა ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ფურცელი ჩაწერა. საფეხბურთო სამყაროს მაღალი, ათლეტური აღნაგობის, ვერცხლისწყლივით მოძრავი ფეხბურთელი 80-იანი წლების ბოლოს გაიცნო. რუუდ გულიტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰოლანდიის ნაკრების ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის გამარჯვებაში. შემდეგ, წარმატებით თამაშობდა „მილანში“. ამ უკანასკნელთან ერთად 1989-1990 წლებში ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი. მოთამაშის კარიერა მან ლონდონის „ჩელსიში“ დაასრულა, როცა უკვე მწვრთნელის მოვალეობასაც ასრულებდა. ამჯამად ის ორეულობის „ფეიენორდის“ ხელმძღვანელობს. გვთავაზობთ რუუდ გულიტის მიერ „სპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

დოსიე:

რუუდ გულიტი. დაიბადა 1962 წლის 1 სექტემბერს ამსტერდამში. შემდეგი ნახევარსეზონი, თვრამეტწლინა. თამაშობდა: „დსც“ ამსტერდამი (1978-1979), „საალტმი“ (1979-1982, 91 მატჩი, 32 გოლი), „ფეიენორდი“ (1982-1985, 85 მატჩი, 30 გოლი), პსვ „ეინდჰოვენი“ (1985-1987, 65 მატჩი, 46 გოლი), „მილანი“ (1987-1994, 125 მატჩი, 38 გოლი), „ჩელსი“ (1997-1998, მოთამაშე-მწვრთნელი, 49 მატჩი, 4 გოლი).

ჰოლანდიის ჩემპიონი (1984, 1986, 1987), იტალიის ჩემპიონი (1988, 1992, 1993). ჰოლანდიის თასის მფლობელი (1984), იტალიის თასის მფლობელი (1994), ინგლისის თასის მფლობელი (1997).

იტალიის სუპერთასის მფლობელი (1992, 1994)

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1989, 1990).

ევროპის სუპერთასის მფლობელი (1989, 1990), საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1989, 1990).

ჰოლანდიის ნაკრების 66 მატჩი ჩაატარა და 17 გოლი გაიტანა, მონაწილეობდა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში, ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი, კონტინენტის 1992 წლის ჩემპიონატის მონაწილე. „ოქროს ბურთის“ მფლობელი (1987).

1998-1999 წლებში იყო „ნიუკასლის“ მთავარი მწვრთნელი, უმეშვეობა ჰოლანდიის 19-წლამდელთა ნაკრებთან.

* * *

◆ *1989 წელს „მილანთან“ ერთად ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგეთ. ეს იყო პერიოდი, როცა ევროპაში ჯერ კიდევ ჰოლანდიური ფეხბურთის სხვა ვარსკვლავებთან – მარკო ვან ბასტენთან, ფრენკ რაიკაარდთან ერთად... რამდენად დიდია სხვაობა 15 წლის წინანდელ და ამჟამინდელ ფეხბურთს შორის?*

— რა თქმა უნდა, ჩვენ დროს სხვა სიტუაცია იყო. მახსოვს, როცა „მილანში“ სათამაშოდ გადავედი, საკუთარი ინიციატივით, გადავწყვიტე, შემესწავლა იტალიური ენა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო აუცილებელი: ფეხბურთი თამაშის გარდა ხომ უნდა ვილაპარაკო არის. რაც უფრო მალალი მოთამაშის კლასი, მით უფრო მალე გამოსახავს სიერთო ენას უცხოელ ფეხბურთელებთან. ის დროინათვის მხოლოდ ვარსკვლავებს შეეძლოთ გადასვლა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნის გუნდში. ბევრი რამ შეიცვალა „ბოსმანის საქმის“ შემდეგ. ახლა კი, ყველა „მოგზაურობს“ სადაც უნდა.

◆ *როგორ უყურებთ იმას, ევროპულ გუნდებში ლეგიონერების რაოდენი გახდა საშიშროებას?*

— იდეა დიდებულია, თუმცა, რა გამოვა, სინამდვილეში, არავინ იცის. რომ დავუშვათ, ეს სიტუაციის, როგორიც „ბოსმანის საქმეშია“ ნაო, შეეძლებელია, რადგან საომარიდ მთელი ევროპული კანონები უნდა შეიცვალოს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება, ეს არის — საშთო შემოიფარგლოს იმ ქვეყნების წარმოადგენელი ლეგიონერების რიცხვი, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები. ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს კი ხელს ვერ ვახლებთ — ამას კანონი გვავლილებს.

◆ *თვით ფეხბურთთა როგორ შეიცვალა 15 წლის წინანდელთან შედარებით?*

— უფრო კომერციული გახდა. ბოლო წლებში ბიზნესის გავლენა ფეხბურთელებზე ძალიან ბევრი გუნდისათვის აღებულება სასიკეთო ცხელ პირობა გახდა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა. ასე, მაგალითად, ივიოთი დორტმუნდის „ბორუსია“. ამ გუნდის ამჟამინდელი კრიზისი პირდაპირ დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩემპიონთა ლიგის ერთი სეზონი გაიცდინა, — ამით შემოსავალი შემცირდა.

◆ *ჰოლანდიური ფეხბურთი რა გოროს შეიცვალა?*

— სამწუხაროდ, მისი როლი ევროპაში უფრო და უფრო უმნიშვნელო ხდება. ფინანსურად კონკურენციას ვერ გაუწევენ, მაგალითად, ინგლისის პრემიერლიგას. იმის წყალობით, რომ ჩვენში კლუბ შემტეგ ფეხბურთის თამაშობენ, ევროპას მაინც ვაძლევთ ბრწყინვალე ტალანტებს. ამიტომაცაა, რომ ჰოლანდიის ნაკრები ერთ-ერთი ულლიერესი კონტინენტზე.

◆ *ბოლო პერიოდი ფეხბურთელებს გადატვირთული კალენდარი აქვთ...*

— ჩემი აზრით, გუნდებს უნდა მისცენ უფლება 18-ზე მეტი ფეხბურთელი წარმოადგინონ ოფიციალური მატჩებისათვის, ისევე, როგორც ეს სანაურებო თამაშის დროს ხდება. უნდა გაიზარდოს შეცვლების რიცხვიც. ეს თავისთავად აშცირებს ფეხბურთელების ტრავმის მილების შანსს.

◆ *თქვენი ნება რომ იყოს, კიდევ რას შეცვლიდით თანამედროვე ფეხბურთში?*

— ერთადერთი, რაც არ მიგაჩნია, ეს — ხელოვნური საფარია. ფეხბურთი სინთეტიკაზე — ეს უკვე სპორტის „სხვა“ სახეობაა. ათიოთი თუნდაც ის, რომ ხელოვნურ საფარზე ბურთი შედარებით სწრაფად დატყი, ვიდრე ჩვეულებრივ მოედანზე. შეიძლებელია სინთეტიკაზე თამაში დროს, პარტნიორის ზუსტი პასი მიაწოდო ბურთთან ისეთი შეხებით, როგორსაც მინდორზეა აკეთებ. გრძელი გადაცემების გაკეთება კი თითქმის შეუძლებელია.

◆ *დასასრულ, ჩამოაყალიბეთ თქმამოლური ნაკრები იმ ფეხბურთელებისგან, რომლებთანაც თავის დროზე გითამაშიათ პოლანდიაში, იტალიაში და ინგლისში...*

— ინებეთ, მეკარე: ჰანს ვან ბრაკლენი; მცველები: მაურო ტასოტი, ფრანკო ბარეზი, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი; ნახევარმცველები: რენე ვან დერ კოიპი, ფრანკ რაიკაარდი, კარლო ანჩელოტი, რობერტო დონადონი; თავდამსხმელები: იოპ ვან კრიეიი, მარკო ვან ბასტენი. სათადარიგოთა სკამზე გავამწყესებდი ეილემ ვან ჰანენგემს, იან ჰაინრიხს, რონალდ კუმანს, რობერტო მანჩინის, სინიშა მიხაილოვიჩს, იეან ნილისს, რონალდ სპელბრინკს და სებასტიან როსიოს.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან შედარებით ნაკლებად ცნობილი იყო რენე ვან დერ კოპი, — მარჯვენა ნახევარმცველი, რომელთან ერთად პსვ ეინდჰოვენში“ მითამაშია. მახსოვს ის დიდებულ პასებს მაძლევდა ის მარჯვენა ფლანგიდან და რამდენი ლამაზი გოლი გამომსვლია.

ბოგდა და კახანო არ იყიდებან!



საფეხბურთო კლუბ „რომას“ პრეზიდენტის ფრანკო სენსის ქალიშვილმა როზელამ პრესკონფერენცია გამართა, რომლის დროსაც გუნდის სატრანსფერო საკითხებზე ისაუბრა.

როზელა სენსიმ აღნიშნა, რომ მას ვერ წარმოედგინა „რომა“ ტოტის და ყასანის გარეშე. მიტომ ორივე ფეხბურთელი დარჩება გუნდში. მიუხედავად იმისა, რომ მათ რამდენიმე მიწვევა აქვთ.

პრეზიდენტის ქალიშვილმა კატეგორიულად უარყო ბოლო ხანებში გავრცელებული ინფორმაციები „რომას“ შესაძლო გაყიდვის თაობაზე. „მამა-ჩემმა — ფრანკო სენსიმ დიდალი თანხა დახარა, რათა „რომა“ არ გაყოლებულიყო. ეს გუნდი მამაჩემისთვის ბევრს ნიშნავს და მას არასოდეს არ გაყიდის. რაც შეეხება დარჩენილ დაცალიბას, ის მაღე დაინახება“, — ამბობს როზელა სენსი.

ვორიენგაცი: „ლივერპული“ თუ „ნიუკასლი“?

არ არის გამორიცხული, ინგლისის საფეხბურთო კლუბი „ლივერპული“ გაძლიერდეს მაძრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების თავდამხმელ ფურნანდო მორიენტესით. „ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა გურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მორიენტესის შეძენა ასეევ სურს „ნიუკასლს“.

„შეგიტყვე, რომ „ნიუკასლის“ ხელმძღვანელობა ცდილობს მორიენტესის გადაბარებას, მაგრამ თავად ფეხბურთელს კარიერის გაგრძელება „ლივერპულში“ ურჩევნია“, – ამბობს ბენიტესი.

„ლივერპულის“ თავკაცის თქმით, კლუბის ხელმძღვანელობა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეძენას გეგმავს.

არიგო საკი: „რეალი“ ძველებურად შაისგრძნობს

როგორც ცნობილია, მადრიდის „რეალის“ სატრანსფერო დირექტორად დაინიშნა ცნობილი იტალიელი სპეციალისტი არიგო საკი. ის უკვე გაეცნო გუნდის წევრებს. ჟურნალისტებთან საუბარში კი აღნიშნა, რომ „სამეფო კლუბში“ არიან მოთამაშეები, რომელთა ყოლასაც მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის ხელმძღვანელობა ინატრებდა. „მართალია, მადრიდის „რეალი“ დღეს ვერ თამაშობს ისე, როგორც შეეძლებოდა, მაგრამ მერწმუნეთ, გულშემატკივრები მაღე იხილავენ ჭეშტებერად ძლიერად მოთამაშე „სამეფო კლუბს“ — ამბობს არიგო საკი. მან უარყო ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციები იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს კლუბის ხელმძღვანელობა აპირებდეს ახალ მწვრთნელად „მილანის“ ამჟამინდელი თავკაცის კარლო ანჩელოტის მიწვევას, რადგან „რეალის“ მოთამაშეები სრულად ენდობიან გარსია რემონს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რას აპირებს მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე. არიო საკის თქმით, ის მოეკალაკება კლუბის პრეზიდენტს, რომელმაც ყველაფერი უნდა გაიგოთოს, რათა ესპანეთის პრიმერიდივიზიონის მეორე წრე მაღალ დონეზე ჩატაროს და გულშემატკივები სიერთაშორისო არენაზე გამარჯვებით გაბაროს.

„ამას წინათ, ერთმა ურნალისტმა მკითხა, თუ საჭირო იქნა, თავად ხომ არ უხელმძღვანელებდი გუნდსო... არაერთხელ მითქვამს, რომ რამდენიმე წლის წინ გადაწყვეტილება მივიღე — მე არასოდეს ვიმუშაებ ერთ ორგანიზაციაში ორ პოზიციაზე როგორც სატრანსფერო დირექტორი. „რეალი“ დიდი გუნდია და მეფიან გამარჯვებული ვიყო — ეს იმიჯი მას უნდა დავუბრუნოთ“. — ამბობს არიო საკი.

დასასრულ, ცნობილი გახდა, რომ არიო საკი დაინტერესებულია მადრიდის „რეალში“ „ოთხის“ მეცნიერ — კრისტან კიეუსა და ნახევარმცველ — ოლივიე დაკურის გადასვლით...

დარჩება თუ არა ჯანაშია „ბალტიკაში“?

მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ზაზა ჯანაშიამ ჯერაც არ იცის, დარჩება თუ არა თავის ამჟამინდელი გუნდის – კალინინგრადის „ბალტიკას“ შემადგენლობაში (ეს კლუბი რუსეთის მეორე დივიზიონის ბინადარია).

„მართალია, ჯერ არ ვიცი, სად ვითამაშებ, მაგრამ უკვე შევუდექი გარჯილს. მსურს წინაში დავიდგი და ახალ სეზონს კარგ სპორტულ ფორმაში შევხვდე. მე დავამტკიცებ, რომ შემიძლია კვლავ ვითამაშიო ისე, როგორც ადრე მოსკოვის „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი. მოსკოვს ახლაც ვახსოვარ, მართალია რამდენჯერმე კლუბში სხვა ფეხბურთელები თამაშობენ, თუმცა, არ არის გამორიცხული, კვლავ დავუბრუნდე ამ გუნდს“, – ამბობს ჯანაშია. მანვე ისიც თქვა, რომ არ შეუძლია საქართველოს ნაკრებში დაბრუნებაზე ფიქრი ამ ეტაპზე – მიზეზი ის არის, რომ ჯერჯერობით, შორს არის სათანადო სპორტული ფორმისგან.

შეგახსენებთ, რომ ზაზა ჯანაშია, რომელიც დღეს 29 წლისაა, 1995-2000 წლებში წარმატებით გამოდიოდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში, შემდეგ ერთი წელი თბილისის „ლოკომოტივში“ გაატარა. 2004 წლიდან კი „ბალტიკას“ დირსება იცავს.

დღეს მორიგი ტურია

ინგლისის პრემიერლიგა ევროპაში ერთადერთია, რომლის მატჩებიც ახალი წლის დღეებშიც ტარდება. ევროს მორიგი, მე-19 ტური გაიმართა, რომელშიც ფავორიტებმა მაღალ ნიშნებს მოუხვეჭეს.

ერთპოროვნულმა ლიდერმა ლონდონის „ჩელსიმ“ საკუთარ მოედანზე ...ადერთი უპასუხო გოლი გაუტანა ...ტონ ვილას“ და მორიგი სამი ქულა ჩაიწერა ანგარიშზე. გოლის ავტორი ფემინე დაფი იყო.

ამ შეხვედრაში რომან აბრამოვიჩის გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ჩეხი, პაულე ფერეირა, ჯალა, ტერი, ბრაჯი, ლემპარდი, მაკელელე, ტიაგო, დაფი (მეტრონი, 80), გუდიოლსენი (ტროგა, 66), რობენი (ჯონსონი, 90).

ამ გამარჯვების შედეგად „ჩელსის“ 46 ქულა გაუხდა და ადგილობრივ ცხრილში მეორე ადგილზე მყოფ ლონდონის „არსენალს“ კვლავ ხუთი ქულით უსწრებს. არსენალის ვენგერის გუნდმა 2-0 სძლია „ფულემს“. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ტიერი ანრიმ და პირისმა.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ არ გაუჭირვებია საკუთარ მოედანზე „ბოლტონის“ დამარცხება 2-0. ანგარიში მე-10 წუთზე გიგზა გახსნა, შეხვედრის მიწურულს კი სჯოულმა მეორედ აიღო სტუმრთა კარი.

„მანჩესტერ იუნაიტედი“: კეროლი, ოში, როი ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინეი, კრისტიან რონალდო (სჯოული, 69), კინი, ფლეტჩერი, გიგზი, რუნი (მილერი, 84), სმიტი.

„ლივერპულმა“ სტუმრად 5-0 გაანადგურა „ვესტ ბრომვიჩი“. გოლები გაიტანეს რისემ (ორჯერ), პონგოლემ, ჯერარდმა, ლუის გარსიამ.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: „საუთემპტონი“ — „ჩარლტონი“ 0-0, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „პორტსმუტი“ 0-1, „ბლეკბერნი“ — „ნიუკასლი“ 2-2, „ეფერტონი“ — „მანჩესტერ სიტი“ 2-1, „ნორვიჩი“ — „ტოტენჰემი“ 0-2, „ბირმინგემი“ — „მიდლსბრო“ 2-0.

მომდევნო ტური დღეს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: „ასტონ ვილა“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბოლტონი“ — „ბლეკბერნი“, „ჩარლტონი“ — „ეფერტონი“, „ფულემი“ — „ბირმინგემი“, „ლივერპული“ — „საუთემპტონი“, „მანჩესტერ სიტი“ — „ვესტ ბრომვიჩი“, „მიდლსბრო“ — „ნორვიჩი“, „ნიუკასლი“ — „არსენალი“, „პორტსმუტი“ — „ჩელსი“, „ტოტენჰემი“ — „ქრისტალ პალასი“.

კანიჯას კარიერის დასრულება ესპანეთში სურს

არგენტინის ნაკრების ყოფილი მთავარმა კანიჯა, რომელიც ამჟამად კატარის ერთ-ერთ გუნდში ასპარეზობს, აპირებს კარიერა გააგრძელოს ესპანეთის რომელიმე კლუბში.

„ამჟამად პრეფიქსივით სპორტულ ფორმაში ვარ. შემიძლია კიდევ ვითამაშო მაღალი რანგის ჩემპიონატებში. მაქეს ორი წინადადება არგენტინის კლუბებიდან. უნდა ითქვას, რომ არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატი მსოფლიოში ერთ-ერთი უძნელესი ტურნირია... მე კი მინდა, რომ ესპანეთის ჩემპიონატში ვითამაშო, – ეს ხომ ჩემი ოცნება იყო. მივიღე წინადადებები რამდენიმე ესპანური კლუბისგან, მაგრამ ამ ეტაპზე არაფრის თქმა არ შემიძლია“, – ამბობს კანიჯა.

NBA

ბონი პარკერის წყალობით

NBA-ს რეგიონალურ ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. „სან ანტონიოში" საკუთარ მოედანზე უმასპინძლა „ბოსტონს" და მეტოქე 17 ქულის სხვაობით დაამარცხა — 107:90 გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ტონი პარკერი, რომელმაც „სან ანტონიოს" 27 ქულა შეიძინა.

„ფენვერი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა „დალასთან" — 88:102. საინტერესოა, რომ მასპინძლები შესვენებაზე 9-ქულიანი უპირატესობით გაედნენ, მაგრამ დარჩენილი ორი მეოთხედი ცუდად ჩაატარეს და 14 ქულით დამარცხდნენ.

საინტერესო გამოდგა შეხვედრა „საკრამენტოსა" და „გოლდენ სტეიტს" შორის. მასპინძლები 4 ქულის სხვაობით დამარცხდნენ — 94:98.

სხვა მატჩები: „ლეიკერსი" — „ნიუ ორლეანი" 100:91, „მილუოკი" — „ჩიკაგო" 99:92, „მინესოტა" — „ვაშინგტონი" 109:74, „ფინიქსი" — „ტორონტო" 106:94, „ხიუსტონი" — „ლაკერსი" 96:79.

ზენდელი დიდი სპორტიდან წავიდა

ბიატლონში 1998 წლის ოლიმპიურმა ოქროს მედალოსანმა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, გერმანელმა პეტერ ზენდელმა, გადაწყვიტა თავისი სპორტული კარიერის დასრულება. რადგან 32 წლის ზენდელს დაკარგული აქვს სპორტული ფორმა და აღარ ძალუძს მაღალი მიზნებისათვის ბრძოლა.

10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში პეტერ ზენდელი წარმატებით იცავდა გერმანიის ნაკრების ღირსებას. 1998 წელს ოლიმპიური „ოქრო" მოიპოვა, ხოლო თხუთმეტი წლის შემდეგ — სოლტ-ლეიკ-სიტიში — „ბრინჯაოს" მეკუთვნილი. დღეს გერმანიაში „ჩელენჯ აუფშალკს" შეუჯიბრებაში ზენდელი უკანასკნელად იასპარეზებს.

კურდღლები... სტადიონს «უტევენ»

სანკტ-პეტერბურგის ხელმძღვანელობა აპირებს ახალი სპორტული არენა აშენოს ჭალების გარეუბანში იმ ადგილას, სადაც ძველი კიროვის სახელობის სტადიონია. საინტერესოა, რომ სამშენებლო კომპანიასთან ხელშეკრულების დადებას აფერხებენ... კურდღლები. ეს პაწია ცხოველები თურმე ძალიან მოშრაქვებულან ძველი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისინი სტადიონზეც აღწევენ და იქ პურობას ანაგვიანებენ. ზოოლოგები და მონადირეები ფიქრობენ, რომ კურდღლების ასე მასიური „შეტევა" სტადიონზე ბახლობელ ტყეში მგლების შიმშილობამ გამოიწვია.

ფრანგი მოკრივე საპურპის ხელით მოკლეს

ფრანგი მოკრივე ჯონ კატერინი კუნძულ რეიუნიონზე (ეს კუნძული საფრანგეთის ტერიტორიის ოკეანეში მდებარეობს) ადგილობრივმა ბანდიტებმა მოკლეს. კატერინს ბოლო თვეების განმავლობაში ბანდიტურ დაჯგუფებასთან დაპირისპირებაში ჰქონდა. მოკრივეზე თავდასხმა მოხდა ერთ-ერთი საკუთარ სპორტულ მაღაზიაში დროს, როდესაც ორგანიზატორიც თავად ჯონ კატერინი იყო. კატერინმა სტადიონი დატოვა და სახლისკენ გაიქცა, რათა თავდამსხმელებს დამალვოდა. ბანდიტებმა მანც ხელთ იგდეს კატერინი, ჯერ ბეისბოლის კეტებით სცემეს, შემდეგ კი სპორტის ხმლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს...

ჯონ კატერინი ევროპის ორგზის ჩემპიონი იყო კრივში (1998 და 2000 წლებში), მოგვიანებით კი კიკბოქსინგს და ტაილანდურ კრივს მისდევდა.

ჟუპაძედ ალის ლექსი 500 დოლარად გაიყიდა

ინტერნეტ-აუქციონზე 500 დოლარად გაიყიდა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, სუპერმძიმეწონასანი პროფესიონალი მოკრივის მუჰამედ ალის მიერ 1979 წელს დაწერილი ლექსი. თავის დროზე ეს ლექსი ალიმ მოუძღვნა თეეზუულობის მაღაზიაში შემთხვევით გაცნობილ ეილინ ბროადენს. აუქციონზე ლექსი სწორედ ამ უკანასკნელმა წარმოადგინა. ბროადენი აცხადებს, რომ გაცნობიდან რამდენიმე თვის განმავლობაში მუჰამედ ალი მასზე შეყვარებული იყო, თუმცა, ქალაქტონმა შორს „დაიპარა" თავი. ალის მიერ დაწერილი ლექსი ბროადენს დაეთხოვნა და მხოლოდ რამდენიმე თვის წინ, სახლის დალაგებისას აღმოაჩინა. ამის შემდეგ ქალბატონმა გადაწყვიტა ლექსის გაყიდვით გარკვეული თანხა მიეღო. აუქციონზე გამოტანილად მუჰამედ ალის „შედევრი" რამდენიმე წამში გაიყიდა.

ტაისონმა იმღერა...

სუპერმძიმე წონაში მოთენთის ყოფილმა ჩემპიონმა, პროფესიონალმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა მონაწილეობა მიიღო ამერიკული ჯიმი კიმელის სატელევიზიო შოუში. „რინის მაიკა" წამყვანთან ერთად შეასრულა საშობაო კიმელერლენი", რომელსაც წელს შეჭრილად 70 წელი შეესრულება. სიმღერის შესრულების დროს მაიკ ტაისონმა და ჯიმი კიმელმა ერთობელთი თოვლის გუნდებით „დაბომბეს".



„ბე-ემ-ვე" „ფორტუნა-1"-ის სხვა გუნდებსაც მოემსახურება

გერმანული ავტოკონცერნი „ბე-ემ-ვე", როგორც ცნობილია, ძრავებით ამარაგებს „ფორტუნა-1"-ის გუნდს — „უილიამსს". ავტოკონცერნის ხელმძღვანელობა აპირებს, 2006 წლისათვის გაზაფხულის სამუშაო არეალი და „ფორტუნა-1"-ის კიდევ ერთ გუნდს მოემსახუროს.

„ჯერჯერობით, ჩვენი ფიქრები მხოლოდ „უილიამსთან" არის დაკავშირებული. არ არის გამორიცხული, ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთ გუნდზეც ვიფიქროთ" — ამბობს „ბე-ემ-ვეს" ტექნიკური დირექტორი მარიო თეისენი.

ბერნი პალტროუნი ყველას წინააღმდეგ



ლონდონის სასამართლომ „ფორმულა-1"-ის ბოსს ბერნი ეკლესტოუნს ავტორიზებული ბრალდება ერთპიროვნული მართვის უფლება წამოართვა. ახლა ეკლესტოუნზე გაკეთება შეეძლოთ ნებისმიერ გამარჯვებულ ფინანსისტებს: სამი გერმანელი ბანკი ფლობს „ფორმულა-1"-ის კომერციული საქმიანობით დაკავებული კომპანიის — „სლელის" აქციათა 75 პროცენტს. ამის მიუხედავად, ბერნი ეკლესტოუნი აცხადებს, რომ ბევრი არაფერი შეცვლილა...

ოფიციალ ასე დაიწყო: ბერნი ეკლესტოუნმა ავტომობილების კომპანიებს შესთავაზა — მოდით, კომპანია შევშვათ, რომელსაც მე ეუხელშეკრულები, ხოლო ვიმსახურებ საკუთარ თავზე ავიღებ, შემოსავლიდან კი — პროცენტებს.'' დასტურიც მიიღო და ასე შეიქმნა „ფორმულა-1", რომელიც დროთა განმავლობაში პოპულარული გახდა. ამ მხრივ მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებსა და ფეხბურთთან მსოფლიო ჩემპიონატებს ჩამოუვარდება. უკანასკნელ 25 წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა „ფორმულა-1"-ის შემოსავლები რეკლამიდან, ტელეტრანსლაციებიდან... დღეს ბერნი ეკლესტოუნის ქონება უკვე 4 მილიარდს შეადგენს, რომელსაც ყოველწლიურად ასპეტ მილიონობით დოლარი ემატება. „ფორმულა-1"-ში მონაწილე გუნდები და მის უკან მდგომი კორპორაციები უამყოფილონი არიან იმით, რომ ყოველწლიური მოგებიდან 45 პროცენტს იღებენ (საერთო ჯამში). ისინი ითხოვენ, რომ გუნდებზე ბერნი ეკლესტოუნმა 80 პროცენტი გააანწილოს.

დღესისთვის სიტუაცია ისეთია, რომ გერმანელი ბანკები, რომლებიც ფინანსურ საქმეებს 75 პროცენტით აკონტროლებენ, მანც მართებთ ეკლესტოუნთან ნორმალური ურთიერთობა, რათა ერთ დროს „ფორმულა-1"-ში ჩადებული თავიანთი ინვესტიციები დაიბრუნონ. ამის პარალელურად არსებობს საფრთხე, „ფორმულა-1"-დან წასული იმუქნობა მოგების დაბალი პროცენტის მიზეზი გუნდები, რომლებიც 2008 წლიდან ალტერნატიული მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას აპირებენ. ამიზე რამდენიმე დღის წინ ისაუბრა „ფერარის" პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეზემოლომ. და კიდევ ერთი, გარეკეთილი ინფორმაცია, რომ გუნდებს ბერნი ეკლესტოუნმა შემოსავლის პროცენტების გაზრდა აღუთქვა... როგორც ჩანს, „ფორმულა-1"-ის მფლობელი, რომელსაც გასიდან 75 წელი უკვლებია, თავგამოდებით იბრძვის საკუთარი უფლებებისათვის.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

28 დეკემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. 7-ის ფილმი. 15.25), იმედი. პროგრამა „გოლი" (17.25); *HTB плюс футбол*. „ფეხბურთის არადღეების დღეები". იტალიის ჩემპიონატი. „რომა" — „ინტერი" (12.15). „ტელემაყურებელთა თხოვნით" ჩემპიონთა ლიგა. 1998-1999 წწ. ნახევარფინალი. იტალიის „ბენფიკასთან" — ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" (14.00). თავისუფალი დარტყმა (15.45). ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.55). ინგლისის ჩემპიონატი. „პორტსმუტი" — „ჩელსი", პრემიერის ტრანსლაცია (17.55). მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. 1998-1999 წწ. ფინალი. გერმანიის „ბავარია" — ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" (20.10). ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005-ის სეზონი: პორტუგალიის „პორტუ" — რუსეთის ცსკა (23.30). *HTB плюс спорт* პოკერი. მსოფლიო ჩემპიონატში ახალგაზრდელ გუნდებს შორის: კანადა — შვეიცარია (10.45, 17.00), ჩეხეთი — რუსეთი. მატჩის მიმოხილვა (21.00, 1.00). გერმანია — კანადა. პრემიერის ტრანსლაცია აშშ-დან (4.00). EUROSPORT. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 17.30, 21.00, 1.15). სპორტული ცეკვები. ლათინური ცეკვების ოსტატები (13.30). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (13.30, 15.30). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.30). სალაპარაკო ბურთი. ყველა ვარსკვლავი (18.00). ფეხბურთი. უეფა-ჩემპიონთა ლიგა, კლასიკა (19.00, 20.00). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00). კრივი. პროფესიონალები (22.15, 23.15). ყველაზე ღირსეული ადამიანები. ჩემპიონთა თანხა. კანადა (2.30). **7-ტვ.** დღე. ფილმი. პროფესიული კრივი (9.30, 11.40, 12.30, 15.30, 19.30, 22.10, 22.30).



29 დეკემბერი, ოთხშაბათი

HTB плюс футбол. ინგლისის ჩემპიონატი. „პორტსმუტი" — „ჩელსი" (12.15). „ნიუკასლი" — „არსენალი" (22.55). ჩემპიონთა ლიგა. 2004-2005 წწ. სეზონი. „პორტუ" — რუსეთის ცსკა (14.00). თავისუფალი დარტყმა (15.55). „ტელემაყურებელთა თხოვნით": ჩემპიონთა ლიგა. 1998-1999 წწ. ფინალი. გერმანიის „ბავარია" — ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" (16.10). 2002-2003 წწ. რუსეთის „ლოკომოტივი" — ბელგიის „ბრიუგე" (20.55); *HTB плюс спорт*. ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდელ გუნდებს შორის. გერმანია — კანადა (10.45, 17.00). რუსეთი — ბელარუსი. მიმოხილვა (19.45), 1.00). ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჯაპონია. ნახევარფინალი (14.00). სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი. ვაფენი. სწრაფდაშვება (21.30). „რუსეთის საჩოგბურთო სეზონი". აშშ-ს ლიგა ჩემპიონებო — 2004. ჭაღები. მეოთხედფინალი. ე. დემენტიევა — ა. მორგაშო (22.30). EUROSPORT. საპაიო ფეხბურთი. ყველა ვარსკვლავი. პარიზი — ბერლინი (11.30). ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (12.45, 17.30, 21.00). სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია (14.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (15.30, 16.30). ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. კლასიკა (19.00, 20.00). ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (22.30). ფეხბურთი. უეფას თასი. ჩეხეთი (0.30). ფიგურული ციგურაობა. ჩემპიონთა თასი. ევროპა. ნახევარფინალი (2.30). **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.30, 17.30, 2.00). დღე. ფილმი: „პროფესიული კრივის ისტორია" (9.30, 12.30, 15.30, 19.30, 23.30), პროფესიული კრივი. „101 დიდი ნოკაუტი" (11.40, 23.10). რუსეთის თასი სამთოსათხილამურო სპორტში. 1-ლი ეტაპი (16.30). კიკბოქსინგი (22.00).

30 დეკემბერი, ხუთშაბათი

HTB плюс футбол. ინგლისის ჩემპიონატი. „ნიუკასლი" — „არსენალი" (12.15). „ტელემაყურებელთა თხოვნით". ჩემპიონთა ლიგა. 2002-2003-ის სეზონი. რუსეთის „ლოკომოტივი" — ბელგიის „ბრიუგე" (14.00). „ფეხბურთის არადღეების დღეები". საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ — „სენტ ეტიენი" (16.00). იტალიის ჩემპიონატი. „იუვენტუსი" — „მესინა" (17.45). „ფუტბოლ მუნდიალი" (20.25). „ტელემაყურებელთა თხოვნით": ჩემპიონთა ლიგა. 2002-2003 წწ. სეზონი. ესპანეთის „რეალი" — რუსეთის „ლოკომოტივი" (20.55). „ფეხბურთის არადღეების დღეები". გერმანიის ჩემპიონატი. „ბაიერი" — „ბავარია" (22.50). *HTB плюс спорт*. ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჭაღები. ფინალი (10.45). ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდელ გუნდებს შორის. რუსეთი — ბელარუსი. მიმოხილვა (13.15). ძიუდო. „რუსეთის პრეზიდენტის თასი". (14.15). ქალაბატონი. ნბა-ს ჩემპიონატი. „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" — „იუტა ჯაზი" (17.15). მიმოხილვა (20.45). „რუსეთის სპორტული სეზონი". აშშ-ს ლიგა ჩემპიონებო-2004. ჭაღები. ნახევარფინალი. ე. დემენტიევა — ჯ. ჯაკიანი (21.40). ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდელ გუნდებს შორის. კანადა — ფინეთი. პრემიერის ტრანსლაცია აშშ-დან (0.30).EUROSPORT. თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (11.30, 15.15). სათხილამურო ორეხეთი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.30). კრივი. პროფესიონალები (17.15). ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. კლასიკა (19.00). სათხილამურო ორეხეთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (21.00, 22.00). ფიგურული ციგურაობა (22.30). ყველაზე ღირსეული ადამიანები (2.30). **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.30, 17.30). დღე. ფილმი. „პროფესიული კრივის ისტორია" (9.30, 12.30, 15.30, 19.30, 23.30, 0.30, 1.00, 1.30, 2.00, 2.30, 3.00, 3.30, 4.00, 4.30). პროფესიული კრივი. „101 დიდი ნოკაუტი" (11.40, 23.10). კიკბოქსინგი (22.00).

ჯვროსვორდი

თარახუშელი: 1. მწვერვალი კაკასიონზე, 3. „მილანის" მთავარი მწვრთნელი, 7. კონტინენტი, 8. ცურვის სტილი, 11. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, იბრაგიმ ... 14. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 15. ლეგენდარული მონაცი („ფორმულა-1"), 16. ქართველი ფეხბურთელი, ტექნიკი მცავე და მწვრთნელი, 18. ტანლის საფეხბურთო კლუბი, 20. ნბა-ს კლუბი, 22. მეზობელი (პრიზნი) ანუ... 25. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მცავე, 26. „ნანტის" ფეხბურთელი, 27. იტალიის საფეხბურთო პრეზიდენტის სახელი, 28. ტაილანდელი ჩოგბურთელი, 29. ცნობილი მარათონელი (აშშ), 30 ვეტერანი დინამოელი ფეხბურთელი.

შვეულად: 1. ამპლუა ფეხბურთში, 2. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 4. ვეტერანი ფრანგი ჩოგბურთელი, 5. აშშ-ს ვეტერანი ფეხბურთელი, 6. პროფესიონალი მოკრივე, 9. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 10. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 12. ტყის ნაყოფი, რომელსაც ამწნილებენ, 13. საავარაკო სახელი ქალაქარეთ, 17. სპორტმენი, ანუ... 19. სპანიელის ცნობილი ნაკრების ფეხბურთელი, 21. პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალის ეგვრტის სახელი, 23. ავტომანქანების, ველო და მოტოციკლეტების ა.შ. შეკრიბება, 24. რუსეთის ყოფილი საფეხბურთო გუნდი.



მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ.

ჭიპა ნომრის ჯროსვორდის პასუხები

თარახუშელი: 6. რუხაძეული, 9. ვეა 11. გოლი, 13. ცრცა, 14. „ტოტნე", 15. „ლიზეტ", 16. რაბენა, 18. კაბელი, 21. მილონი, 22. ზოლტა, 23. ზენდელი, 26. შეტეი, 27. „ლორი", 28. კორეა, **შვეულად:** 1. ტორი, 2. ნბა, 3. რინგი, 4. ჩია, 5. ლი, 7. „ზალე", 8. ბარატა, 10. „ფრანს", 12. ყაზოლტ, 14. ტორპი, 17. „ცოტა", 19. პიღეუი, 20. „ლეიპი", 21. „პზე", 22. შაში, 23. „შინო", 24. ნიკ, 25. ოური.

მთავარი რედაქტორი ომნიზ ბაჩეიჩილაძე

თბილისი, 380008, ვ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com

საჭადრაკო ამოცანა

ა. ბაშკოვსკი
(1990 წ.)

შავადი 2 სვლაში

№102-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.Be2!

1. ..... Bფ:b3 2. Bd4X, 1. ..... Bფ:d3 2. Bb4X.